გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მარშალ გელოვანის გამზ.N34
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 237 80 13
+995 32 237 80 44
info@mepa.gov.ge

04 ივნისი 2025

N 4070/01

შპს ,,მინერალი"-ს დირექტორს კახა მუხიგულს

ქ. თბილისი, ვაკის რ-ნი, ნუცუბიძის ქუჩა N127,
სადარბაზო N4, სართული N1, A ბლოკი, ფართი N9

ასლი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ბატონო კახა,

თქვენი განცხადების(28.05.2025) პასუხად, რომლითაც წარმოდგენილია შპს ,,მინერალის"-ს სასარგებლო წიაღისეულის, ლიცენზია-ბრძანება №1681, მოპოვებისას გამონამუშევარი ფართობის რეკულტივაციის კორექტირებული პროექტი, გაცნობებთ, რომ სამინისტრო თანახმაა პროექტით განსაზღვრული სარეკულტივაციო სამუშაოები განხორციელდეს შემდეგი პირობის დაცვით:

1.გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მარტყოფის ადმინისტრაციულ ერთეულში, 92160მ^2 ფართობზე, 921600მ^3 მოცულობის „სააკაძის“ კონგლომერატის (სხვა საშენი მასალა) ღია კარიერული წესით მოპოვებაზე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 30 ოქტომბრის №612/ს ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებით, საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. აღნიშნულიდან გამომდინარე და სამართალდარღვევის პრევენციის მიზნით, კომპანიამ საქმიანობა განახორციელოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

დამატებით გაცნობებთ, რომ ,,ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, რეკულტივაციის ან/და კონსერვაციის სამუშაოების დამთავრების შემდეგ საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, ამის თაობაზე ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. ობიექტების რეკულტივაცია ან კონსერვაცია დამთავრებულად ითვლება ინფორმაციის ადგილზე გადამოწმების შემდეგ უფლებამოსილი ორგანოს (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის

დეპარტამენტი) მიერ შესაბამისი აქტის შედგენით, ხოლო საქმიანობის სუბიექტი, რომელიც აწარმოებს დეგრადირებული ნიადაგის რეკულტივაციას, პროექტით განსაზღვრული პირობების სამუშაოების არახარისხიანი, ეკოლოგიური და სხვა სტანდარტების წესების და ნორმების დაუცველობისას პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პატივისცემით,

გიზო ჭელიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

მელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტი

https://edocument.ge/mea/public/#/4070-01-2-202506041426

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

"შეთანხმებულია"

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **მელიორაციისა** და მიწის მართვის დეპარტამენტის

უფროსი გიზო ჭელიძე

`---------- 2025 წ.

"ვამტკიცებ"

შპს „მინერალის" დირექტორი

კახა მუხიგული

`28` მაისი ` 2025 წ

შპს „მინერალი"

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. სააკაძის მიმდებარე ტერიტორიაზე „სააკაძის" კონგლომერატის(სხვა საშენი მასალა) გამოვლინების

რეკულტივაციის

პროექტი

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია-ბრძანება N1681

შემსრულებელი:

შპს „მინერალის"

გარემოს დაცვისა და გეოდეზიის სამსახური

თბილისი 2025

სარჩევი

1. რეკულტივაციის პროექტში გამოყენებული ძირითად ტერმინთა განმარტებანი .. 3
2. ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განმხორციელებელის შესახებ 4
3. შესავალი 5
4. კანონმდებლობა და გამოყენებული ლიტერატურა 6
5. ლანდშაფტური რელიეფის რეკულტივაციის გეგმა 7
5.1 მოკლე მიმოხილვა დაგეგმილი და მიმდინარე საქმიანობის შესახებ 7
6. სარეკულტივაციო სამუშაოები 8
7. ტექნიკური რეკულტივაცია 8
8. სარეკულტივაციო სამუშაოების გეგმა/გრაფიკი 10
9. რეკულტივირებული ფართობის მონიტორინგი 11
11. დასკვნა 11
დანართები 12
დანართი N1 - საბადოს რუკა ფუჭი ქანების დასაწყობების ადგილის დატანით 13
დანართი N2 - ლიცენზია-ბრძანება 14
დანართი N3 - ამონაბარის და ბუნებრივი გაშიშვლების ვიზუალური ფოტო-მასალა. 22

1. რეკულტივაციის პროექტში გამოყენებული ძირითად ტერმინთა განმარტებანი

ძირითად ტერმინთა განმარტებანი

№	ტერმინი	განმარტება
1	ნიადაგი	დედამიწის ფხვიერი ზედანაწილი, რომელიც შექმნილია ქანების, კლიმატის, ბიოსფეროს, რელიეფის, ხნოვანების და ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ურთიერთქმედებით
2	დეგრადირებული ნიადაგი	ნიადაგი, რომლის ბიოლოგიური თვისებები გაუარესებულია, ხოლო ეკონომიკური მაჩვენებლები დაცემულია სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად;
3	ნიადაგის ნაყოფიერი ფენა	ნიადაგის პროფილის ზედა ჰუმუსოვანი ნაწილი, რომელიც შეიცავს ზრდა-განვითარებისათვის ხელსაყრელ ქიმიურ, ფიზიკურ და აგროქიმიურ თვისებებს;
4	რეკულტივაცია	სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად დაზიანებული (დეგრადირებული) მიწების აღდგენა პირვანდელ ან/და მიახლოებულ პირვანდელ მდგომარეობამდე
5	მიწის ტექნიკური რეკულტივაცია	ნიადაგის რეკულტივაციის ეტაპი, რომელიც მოიცავს დარღვეული ზედაპირის მომზადებას ბიოლოგიური რეკულტივაციის განხორციელების მიზნით;
6	მიწის (ნიადაგის) რეკულტივაციის ბიოლოგიური ეტაპი (ბიოლოგიური რეკულტივაცია)	მიწის რეკულტივაციის ეტაპი, რომელიც ხორციელდება ტექნიკური რეკულტივაციის შემდეგ და მოიცავს აგროტექნიკურ, ფიტომელიორაციულ და კომპლექსურ ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია მიწის სამეურნეო პროდუქტიულობის აღსადგენად
7	სამთო გადამუშავების ნარჩენები	კარიერებზე მუშაობის და მინერალური რესურსების მოპოვების, გადამუშავებისა და შენახვის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები;

2. ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განმხორციელებელის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება;	შპს „მინერალი”
ობიექტის მისამართი:	
ფაქტობრივი	გარდაბნის რ-ნი, სოფ. სააკაძის მიმდებარე ტერიტორია
იურდიული	ქ.თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიძის ქუჩა, N127, სადარბაზო N4, სართული N1, A ბლოკი, კომერციული ფართი N9
საიდენტიფაკციო კოდი	404940926
ელექტრონული ფოსტა	tamuna.shoshitaishvili@minerall.ge
დაგეგმილი და მიმდინარე საქმიანობა	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია-ბრძანება N1681, 13.03.2025, კონგლომერატის (სხვა საშენი მასალა) გამოვლინების რეკულტივაცია
გათვალისწინებული სამუშაოების ხანგრძლივობა;	პროექტის შეთანხმებიდან 2045 წლის 14 მარტამდე
მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ადგილმდებარეობა (გეოგრაფიული);	-
მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა (მ³)	- სამთო მინაკუთვნში მიწის ნაყოფიერი ფენა არ ფიქსირდება(ამონაბარის და ბუნებრივი გაშიშვლების ვიზუალური ფოტო-მასალა პროექტზე დართულია დანართი N
ფართობი(ჰა), რომელზეც განხორციელდება ნაყოფიერი ფენის მოხსნა - GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები;	-
ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობების (შენახვის) ადგილი - GIS (გეო-ინფორმაციული სისტემები) კოორდინატები;	-
დასაწყობების (შენახვის) მეთოდი;	-
სარეკულტივაციო სამუშაობის ჩატარების პერიოდი და მეთოდი (ტექნიკური,	პროექტის შეთანხმებიდან 2045 წლის 14 მარტამდე მეთოდი: ტექნიკური;

ბიოლოგიური).	

3. შესავალი

შპს „მინერალი" გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ სააკაძის მიმდებარე ტერიტორიაზე გეგმავს განახორციელოს კონგლომერატის(სხვა საშენი მასალა) გამოვლინების საბადოს დამუშავება. საბადოს დამუშავების პროექტს საფუძვლად უდევს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია-ბრძანება №1681, 13.03.2025 და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - წიაღის ეროვნული სააგენტოს მცირე გეოსაინფორმაციო პაკეტი.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია გაცემულია 20(ოცი) წლის ვადით, 2025 წლის 13 მარტიდან 2045 წლის 14 მარტამდე.

შპს „მინერალს" მოპოვებითი სამუშაოების დასრულების შემდგომ განზრახული აქვს სალიცენზიო ობიექტის გასწორხაზოვნებისა და მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების ეროზიული პროცესებისაგან დასაცავად განახორციელოს არსებული სახეცვლილი ტერიტორიის აღდგენა/რეკულტივაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომზადებული იქნა წინამდებარე რეკულტივაციის პროექტი, რომლითაც შემოთავაზებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე ნიადაგების აღდგენა/რეკულტივაციის ტექნიკური და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები.

ლიცენზირებული ობიექტი მორფოლოგიურად მდებარეობს საქართველოს მთათაშორის ბარის ზონაში, რომელიც წარმოდგენილია გორაკ-ბორცვიანი და ვაკე რელიეფით. ლიცენზირებული ობიექტის კონტური მოიცავს გორაკის თხემურ ნაწილს, რომელიც ტექნოგენურად შეცვლილია და წარმოადგენს ძველ ნაკარიერალ ტერიტორიას.

ლიცენზიით განსაზღვრული სამთო მინაკუთვნი შეადგენს 9216მ²-ს. სამთო მინაკუთვნის მთლიან ფართობში სასარგებლო ფენა უშუალოდ გამოსულია ზედაპირზე(ამ ტერიტორიაზე წინა პერიოდში უკვე მიმდინარეობდა სასარგებლო წიარისეულის მოპოვება), რის გამოც გადახსნის აუცილებლობა გამოვლინების მთლიან ტერიტორიაზე არ არსებობს. მიწის ნაყოფიერი ფენა სამთო მინაკუთვნში არ არის წარმოდგენილი.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროცესში მოსალოდენლია ფუჭი ქანების წარმოქმნა, რომელთა მაქსიმალურმა რაოდენობამ შესაძლოა შეადგინოს ლიცენზიით განსაზღვრული მოსაპოვებელი მასალის 1%. რაც ჩვენს შემთხვევაში იქნება

920160/100=9201,6 მ³. (ანუ საბადოს დამუშავებისას მოსალოდნელია 1000 დან - 10000კუბურ მეტრამდე ფუჭი ქანის წარმოქმნა)

საბადოს დამუშავების პროცესსი წარმოქმნილი ფუჭი ქანები დასაწყობდება სამთო მინაკუთვნიის ტერიტორიაზე უკიდეურეს ჩრდილოეთ ნაწილში, 2-4მ სიმაღლის ზვინულებად, ქვემოთ მითითებულ კოორდინატებში.

ფუჭი ქანების დასაწყობების კოორდინატები		
1	505241	4619167
2	505192	4619190
3	505209	4619226
4	505245	4619256
5	505274	46192136

4. კანონმდებლობა და გამოყენებული ლიტერატურა

„ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ " ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად რეკულტივაციას ექვემდებარება ყველა კატეგორიის დაზიანებული და დეგრადირებული ტერიტორიის ნიადაგი, ასევე მისი მიმდებარე მიწის ნაკვეთები, რომლებმაც დაზიანებული და დარღვეული ნიადაგების უარყოფითი ზემოქმედების შედეგად ნაწილობრივ ან მთლიანად დაკარგეს პროდუქტიულობა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოფელ სააკაძის მიმდებარე ტერიტორიაზე კონგლომერატის(სხვა საშენი მასალა) გამოვლინების საბადოს ტერიტორიის რეკულტივაცია/აღდგენა განხორციელდება საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის და რეგლამენტის დაცვით, კერძოდ:

- საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ (10.12.1996);
- საქართველოს კანონი ,,ნიადაგის დაცვის შესახებ' (12.05.1994);
- საქართველოს კანონი ,,სასოფლო/სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო/სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ;

- ,,ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ "(ტექნიკური რეგლამენტი, საქართველოს მთავრობის დადგენილება N 424, (31.12.2013);
- ,,გარემოსათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა (ტექნიკური რეგლამენტი, საქართველოს მთავრობის დადგენილება N54; (14.01.2014);
- საქართველოს კანონი ,,ნარჩენების მართვის კოდექსი" (25.12.2014 წ.);

5. ლანდშაფტური რელიეფის რეკულტივაციის გეგმა

5.1 მოკლე მიმოხილვა დაგეგმილი და მიმდინარე საქმიანობის შესახებ

წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეეხება გარადაბნის მუნიციპალიტეტში სოფელ სააკაძის მიმდებარე ტერიტორიაზე კონგლომერატის(სხვა საშენი მასალა) გამოვლინების საბადოს დამუშავების საპროექტო ტერიტორიაზე ტექნიკური და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების შემუშავებას. აღნიშნული ტერიტორიის აღდგენა აუცილებელია, რადგან საჭიროა განხორციელდეს სალიცენზიო ობიექტის ტერიტორიის გასწორხაზოვნება და ლანდშაფტის აღდგენა, რაც უზრუნველყოფს მიმდებარედ არსებული ტერიტორიის ეროზიული პროცესებისაგან დაცვას.

სალიცენზიო ტერიტორიის ფართობი შეადგენს 92160 მ², კარიერის მაქსიმალური დამუშავების სიმძლავრე შეადგენს 10 მეტრს. სარეკულტივაციო ფართობი განლაგებულია ზღვის დონიდან 760-800 მ-ს სიმაღლეზე.

ქვემოდ მოცემულია სარეკულტივაციო სალიცენზიო ფართის კუთხეთა წვეროების კოორდინატები:

N	X	Y
1	505183	4618710
2	505187	4618948
3	505149	4619067
4	505169	4619184
5	505197	4619239
6	505245	4619279
7	505296	4619242
8	505252	4619154

9	505370	4619002
10	505441	4618874
11	505467	4618819
WGS 1984		
9,2163ა		

წინამდებარე პროექტით წარმოდგენილი სარეკულტივაციო ტერიტორიის ფართობი შეადგენს 9,216 ჰა-ს.

ტერიტორიის აღდგენა/რეკულტივაციისას, კერძოდ ტექნიკური რეკულტივაციის მიზნით გამოყენებული იქნება საბადოს დამუშავებისას წარმოქმნილი ინერტული ნარჩენი (ფუჭი ქანები) და მიწის ნაყოფიერი ფენა, რომელიც დასაწყობდება ლიცენზიის კონტურის შიგნით.

სალიცენზიო ობიექტზე სასარგებლო წყებაზე, მიწის ნაყოფიერი ფენა არ არის წარმოდგენილი.

6. სარეკულტივაციო სამუშაოები

საბადოზე სამუშაოების დაწყება დაგეგმილია გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვების მიღებისთანავე. სამთო მინაკუთვნის საბოლოო რეკულტივაცია დამთავრდება ლიცენზია-ბრძანებით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე. (ლიცენზიის ვადის ამოწურვამდე ან მოპოვებითი სამუშაოების დასრულებისას)

7. ტექნიკური რეკულტივაცია

7.1 ტექნიკური რეკულტივაციის მიზანი და მოთხოვნები:

ტექნიკური რეკულტივაციის მიზანია სარეკულტივაციო ტერიტორიის მოსწორება, სტაბილიზაცია, სალიცენზიო ობიექტის გასწორხაზოვნება და არსებულ ლანდშაფტურ ელემენტებთან შეხამება. შპს „მინერალი" გამოიყენებს სამშენებლო ნარჩენებს, ბუნებრივ და ტექნოგენურ გრუნტს, მიწისა და კლდოვან ქანებს რომელიც წარმოიქმნა სალიცენზიო ობიექტის დამუშავების განმავლობაში. მთლიანობაში ტექნიკური რეკულტივაციის ეტაპზე გამოყენებული იქნება 1000-10000 მ^3 ინერტული ნარჩენი (ფუჭი ქანები), რომელიც წარმოიქმნება გამოვლინების მთელ პერიმეტრზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას. ყველა ეს ინერტული ნარჩენი გამოყენებული იქნება ტექნიკური რეკულტივაციის ეტაპზე სალიცენზიო ობიექტის კონფიგურაციის შესაქმნელად, ორმოულების ამოსავსებად და ფერდის დამცავი ბეგის მოსაწყობად.

შპს „მინერალი" მკაცრად დაიცავს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სტანდარტებს. კერძოდ, ტექნიკური რეკულტივაციის მიზნით არ იქნება გამოყენებული საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები.

პირველ ეტაპზე სარეკულტივაციო ფართობზე განხორციელდება სალიცენზიო ობიექტის ფორმირება იმ პარამეტრებით, რომ ჭარბი ნალექის შემთხვევაში არ მოხდეს ეროზიული მონაკვეთების წარმოქმნა. შემდეგ განხორციელდება სალიცენზიო ობიექტის ფუჭი ქანებით შევსება/მოსწორება.

7.2 სარკულტივაციო სამუშაოები

კარიერზე განხორცილედება ტექნიკური რეკულტივაციის სამუშაოები. 2013 წლის 31 დეკემბერის საქართველოს მთავრობის დადგენილება №424 „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" მე-3 მუხლის, მე-მე-5 პუნქტის, ა-ქვეპუნქტის თანახმად, „ტექნიკური ეტაპი ითვალისწინებს რეკულტივაციის პროექტის თანახმად დაგეგმარებას, რელიეფის ფორმირებას, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-დატანას, ჰიდროტექნიკური და მელიორაციული ნაგებობების მოწყობას, უვარგისი ქანების დამარხვას ასევე სხვა სამუშაოების ჩატარებას, რომლებიც ქმნიან საჭირო პირობებს რეკულტივირებული მიწის შემდგომი მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისათვის ან ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის ღონისძიებების გატარებისათვის (ბიოლოგიური ეტაპი)."

ტექნიკური რეკულტივაციის მიზანია გამონამუშევარი ტერიტორიის მოსწორება, სტაბილიზაცია და არსებულ ლანდშაფტურ ელემენტებთან შეხამება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ტექნიკურ ეტაპზე უნდა მოხდეს ტექნოლოგიური საქმიანობის შედეგად წარმოშობილი ორმოულების ამოვსება ფუჭი ქანებით. ტექნიკური რეკულტივაცია განხორციელდება ეტაპობრივად და დაუყოვნებლივ მოპოვებითი სამუშაობის დასრულებისთანავე.

კარიერიდან ლიცენზიაში მითითებულ რაოდენობის წიაღისეულის გამოტანის შემდგომ (დაუყოვნებლივ - ეტაპობრივად) შეტანილი იქნება უვარგისი(ფუჭი) ქანები, კერძოდ 10000m^3 ოდენობით.

გამომდინარე იქიდან, რომ ლიცენზირებული ობიექტის კონტური მოიცავს გორაკის თხემურ ნაწილს, რომელიც ტექნოგენურად შეცვლილია და წარმოადგენს ძველ ნაკარიერალ ტერიტორიას, სადაც უკვე მოპოვებულია სასარგებლო წიაღისეული წინა ლიცენზიის ფარგლებში 10მ სიმძლავრით, პირვანდელთან მიახლოებულ ფორმამდე აღდგენა შეუძლებელია. სამთო მინაკუთვნის ტერიტორია წარმოადგენს შპს „მინერალის" კუთვნილ ტერიტორიას, სადაც უკვე განთავსებულია სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, რომლის დატოვებაც მომავალშიც იგეგმება.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება თხემის მიმდებარედ გეგმება საფეხურებრივად. რეკულტივაციის სამუშაოების ფარგლებში განხორციელდება მოჭრილი თხემის საფეხურების გამაგრება დამცავი ბეგებით და პირველი საფეხურ

ზე და კარიერის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ორმოულების ფუჭი ქანებით ამოვსება ბულდოზერის და გრეიდერის მეშვეობით, რათა არ მოხდეს მომავალში ქანების დაწევა.

არსებულ ტერიტორიაზე პირველ რიგში განთავსდება ფუჭი ქანების მსხვილი ფრაქციები შემდგომ კი წვრილი ფრაქციები. გადასახსნელი ქანების მოშანდაკების პარალელურად განხორციელდება ბუნებრივი ვაკისის და საჭიროების შემთხვევაში დახრილობის შექმნა და შესაბამისი ფორმის მიცემა, რომელიც შეერწყმება ლანდშაფტის არსებულ ფორმას.

რეკულტივაციის სამუშაოების განხორციელებისას განხორციელდება ტერიტორიის დატერასება. მუხედავად იმისა, რომ მოპოვების დასრულების შემდეგ სამთო მინაკუთვნის ტერიტორია წარმოდგენილი იქნება ინერტული მასალის ფენით, რომელიც ხასიათდება კარგი დრენაჟულობით, ტერასებზე მექანიკური და წყლისმიერი ეროზიის პროცესების თავიდან აცილების მიზნით ტერიტორიაზე მოეწყობა წყალშემკრები არხები.

ტექნიკური რეკულტივაციის სამუშაოები მოიცავს:

- ტერიტორიის გაწმენდას საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან (არსებობის შემთხვევაში);
- ტექნიკური რეკულტივაციის საწყის ეტაპზე მოხდება ფუჭი ქანების გაშლა გამომუშავებულ ფართობზე, ასევე მოხდება არსებული რელიეფის ფორმასთან მისადაგება;
- ტექნიკური რეკულტივაცია დასრულდება სალიცენზიო ობიექტის პროფილის ჩამოყალიბებით და დასტაბილურებით.
- ტერიტორიაზე წყალშემკრები არხების მოწყობა.

სარეკულტივაციო სამუშაოები დაიწყება მოპოვებითი სამუშაოების დასრულებისთანავე. სამუშაოები განხორციელდება 1 ექსკავატორის, 1 ავტოგრეიდერის/ბულდოზერის მეშვეობით. ექსკავატორის მიერ მოხდება ორმოულების ამოვსება, ხოლო გრეიდერის მიერ განხორციელდება ტერიტორიის მოსწორება და დატკეპნვა.

ტექნიკის ტიპი	რაოდენობა	პერსონალი	სამუშაო დრო
ექსკავატორი	1	1	14.03.2025-მდე
ბულდოზერი/გრეიდერი	1	1	14.03.2025-მდე
ოპერატორი	2	2	14.03.2025-მდე

8. სარეკულტივაციო სამუშაოების გეგმა/გრაფიკი

სარეკულტივაციო სამუშაოების დაწყება დაგეგმილია მოპოვებითი სამუშაოების დასრულებისთანავე. რადგან ლიცენზიის ვადა 20 წელია და რეკულტივაციის სამუშაოები უნდა დასრულდეს 2045 წლის 14 მარტამდე.

სამუშაოთა წარმოების გრაფიკი მოცემულია ქვემოთ ცხრილში 8.1.

№	სამუშაოთა აღწერა	პერიოდი
1	ტექნიკური რეკულტივაცია - ტერიტორიის ამოვსება/გადასწორება და სტაბილიზაცია	2045 წლის 14 მარტამდე

9. რეკულტივირებული ფართობის მონიტორინგი

ტექნიკური რეკულტივაციის შემდგომ მოხდება რეკულტივირებული ფართობების მონიტორინგი, რომელიც მოიცავს ამ ფართობების ვიზუალურ დაკვირვებას. მონიტორინგის პერიოდი გაგრძელდება რეკულტივირებულ ფართობის მდგრადობაში დარწმუნებამდე.

მონიტორინგის დროს მოხდება იმ ქმედებების და პროცესების გამოვლენა, რომლებიც ხელს უშლის ტერიტორიის დასტაბილურებას. ასეთი პროცესების გამოვლენის შემდგომ მოხდება შემარბილებელი ღონისძიებების გატარება. მონიტორინგი დაიწყება რეკულტივაციის დასრულების შემდგომ და გაგრძელდება 3 წლის განმავლობაში:

1) ტექნიკური რეკულტივაციის შემდგომ მოხდება რეკულტივირებული ფართობის კონტროლი.
2) ნალექის შემდგომ და გამოვლინდება ბუნებრივი მოვლენების შედეგად დაზიანებული ადგილები. სისტემატური მონიტორინგის მეშვეობით გამოვლინდება ასევე ის ადგილები, სადაც ფიქსირდება შეასაძლო ეროზიის ნიშნები და ადგილები, სადაც არ მოხდა საფარის დასტაბილურება.
3) ასეთი ადგილები დამუშავდება ხელმეორედ;

11. დასკვნა

ზემოთ აღნიშნული სამუშაოების თანამიმდევრული და სრულყოფილად შესრულება იქნება გარანტია იმისა, რომ მოხდეს კარიერის სამთო მინაკუთვნად გამოყოფილი ტერიტორიის აღდგენა - რეკულტივაცია და შესაძლებელი გახდეს ამ ტერიტორიის სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება.

დანართები

დანართი N1 - საბადოს რუკა ფუჭი ქანების დასაწყობების ადგილის დატანით

ლიცენზია: N1681

სიტუაციური გეგმა

პირობითი ნიშნები

ლიცენზიის კონტური

სატყეო ფონდი

ფუჭი ქანების დასაწყობების ადგილის კოორდინატები		
N	X	Y
12	505241	4619167
13	505192	4619190
14	505209	4619226
15	505245	4619256
16	505274	4619236

ლიცენზიის კორდინატები		
N	X	Y
1	505183	4618710
2	505187	4618948
3	505149	4619067
4	505169	4619184
5	505197	4619239
6	505245	4619279
7	505296	4619242
8	505252	4619154
9	505370	4619002
10	505441	4618874
11	505467	4618819
S=92160 კვ.მ.		
WGS 1984		

WGS 84 / UTM zone 38N

მ. 1:10 000

0 300 600 მეტრი

დანართი N2 - ლიცენზია-ბრძანება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

KA020132550288925

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30

ლიცენზია - ბრძანება № 1681

13 / მარტი / 2025 წ.

შპს მინერალზე (ს/ნ 404940926) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების, „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 15 სექტემბრის №10 და 2025 წლის 23 იანვრის №28/ს ბრძანებების, 2025 წლის 26 თებერვალს ჩატარებული ელექტრონული აუქციონის (აუქციონის შედეგად მე-2 ობიექტზე გამარჯვებული გახდა შპს მინერალი (განაცხადის №620OTH225), ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი კონგლომერატის (სხვა საშენი მასალა) ჯამური მოცულობა 921 600 m^3, ლიცენზიის მოქმედების ვადა 20 წელი, ლიცენზიისთვის გადახდილი ფასი 88836,00 ლარი) შედეგებისა და სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გაიცეს შპს მინერალზე (ს/ნ 404940926) გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მარტყოფის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, „სააკაძის'' კონგლომერატის (სხვა საშენი მასალა) მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 20 წლის ვადით შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) დაუწესდეს მიწისა და სამთო მინაკუთვნი (ფართობი 92 160 კვ.მ) დანართით განსაზღვრული X და Y კოორდინატების ფარგლებში;

ბ) კონგლომერატის (სხვა საშენი მასალა) (P კატეგორია) ჯამური მოცულობა ლიცენზიის მოქმედების პერიოდში განისაზღვროს 921 600 m^3-ის ოდენობით;

გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით;

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის დაწყებამდე უზრუნველყოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის დაწყებამდე უზრუნველყოს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 30 ოქტომბრის N612/ს ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის N 340 დადგენილებით დამტკიცებული „უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას";

თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს 2024 წლის 06 ნოემბრის N 04-337 წერილით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა;

ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;

ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;

მ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;

ნ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;

ო) ლიცენზიის მფლობელმა დაიცვას „ტექნიკური რეგლამენტების - წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და წიაღისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№ 1-01, 1-02, 1-03, 1-04) დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №271 და „კარიერების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 450 დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

პ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დაწყებამდე შეადგინოს და ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარადგინოს წიაღით სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაცია ამ ლიცენზია-ბრძანების პირველი პუნქტის „ო" ქვეპუნქტში მითითებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად;

ჟ) ლიცენზიის მფლობელმა ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარადგინოს წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ;

რ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ამ ლიცენზია-ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემ ორგანოში დასამტკიცებლად წარადგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);

ს) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით, „საქართველოს ტყის კოდექსით", „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;

ტ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას ასევე სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის № 2385, 27.09.2024წ. (ID_59797_168987) სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე დადგენილი პირობები.

2. ლიცენზია-ბრძანება გასაცნობად გადაეცეს დაინტერესებულ პირს.

3. ლიცენზია-ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2).

დანართი (1 გვ.)

დამტკიცებულია
სსიპ - მიწერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის
2025 წლის "----------" № ლიცენზია-ბრძანებით

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მარტყოფის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, „სააკაძის" კონგლომერატის (სხვა საშენი მასალა) ადგილმდებარეობის შესახებ X და Y კოორდინატები

№	X	Y
1	505183	4618710
2	505187	4618948
3	505149	4619067
4	505169	4619184
5	505197	4619239
6	505245	4619279
7	505296	4619242
8	505252	4619154
9	505370	4619002
10	505441	4618874
11	505467	4618819
WGS 1984		

გეოსაინფორმაციო პაკეტი

168987_ID_2024

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი
1	წიაღითსარგებლობის ობიექტი – სააკაძის კონგლომერატის გამოვლინება
2	ბენეტური ტიპი – დანალექი
3	სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო ტიპი – სამშენებლო
4	**წიაღითსარგებლობის ობიექტის მდებარეობა და ტერიტორიის ზოგადი აღწერა**
4.1	რეგიონი – ქვემო ქართლი
4.2	მუნიციპალიტეტი – გარდაბანი
4.3	ადმინისტრაციული ერთეული – მარტყოფი
4.4	უახლოესი დასახლებული პუნქტი – სოფ. სააკაძე
4.5	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან – რ/ც გარდაბნიდან 28-29 კმ (პირდაპირი მანძილი)
4.6	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან / ზღვის სანაპირო ზოლიდან – აღემატება 5 კმ-ს / აღემატება 20 კმ-ს.
4.7	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) – მდ. მტკვრის აუზი
4.8	წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები –

	X	Y
1	505183	4618710
2	505187	4618948
3	505149	4619067
4	505169	4619184
5	505197	4619239
6	505245	4619279
7	505296	4619242
8	505252	4619154
9	505370	4619002
10	505441	4618874
11	505467	4618819
S = 92160 კვ.მ.		
GWS 1984		

4.9	ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან – 760-800 მ
4.10	კლიმატური პირობები – კონტინენტური
5	**ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები**
5.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან – 5 მ (მუნიციპალიტეტის ბალანსი)
5.2	მანძილი უახლოესი ხიდიდან –
5.3	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან –
5.4	დამატებითი მონაცემები – ობიექტის კონტურში ფიქსირდება ელგადამცემი ხაზები
6	**სატყეო რესურსები**
6.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში – არ ფიქსირდება.
6.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური – ქვემო ქართლის რეგიონალური სატყეო სამსახური
6.3	სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები –
7	**რაიონის გეოლოგიური პოზიცია**
7.1	ტექტონიკური დარაიონება – მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემა, აჭარა-თრიალეთის ზონა, სამხრეთი ქვეზონა, ასპინძა-თბილისის სექტორი
7.2	გეოლოგიური აგებულება – გამოვლინების რაიონი აგებულია პალეოგენური, ნეოგენური და

	მეოთხეული ასაკის ნალექებით.
8	**ობიექტის გეოლოგიური პოზიცია**
8.1	**გეოლოგიური აგებულება** – გამოყლინების **ტერიტორიაზე ერცელდება** ნეოგენური (აღრაგილი) ასაკის ნალექები, **რომლებიც წარმოდგენილია** თიხებით, **ქვიშაქვებით** და კონგლომერატებით. სალიცენზიო ობიექტზე **პროდუქტული** ფენა **წარმოდგენილია** კონგლომერატებით.
8.2	**მადნიანი** სხეულის **მორფოლოგიური ტიპი** – ფენობრივი
8.3	**მადნიანი** سხეულის (سხეულების) **გავრცელება** (**მიმართებით** **და დაქანებით**) – **პროდუქტიული** ფენების **გავრცელება** ლიმიტირებულია **სალიცენზიო ობიექტის პარამეტრებით.**
8.4	**მადნიანი** سხეულის (سხეულების) **სიმძლავრე** – **საშუალო** سიმძლავრე – 10 მ
8.5	**მადნიანი** سხეულის (سხეულების) **წოლის ელემენტი** –
8.6	**დამატებითი** მონაცემები –
9	**ობიექტის შესწავლის ხარისხი და სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიურ-ტექნოლოგიური** დახასიათება
9.1	**საძიებო ქსელი** ძებნა-ძიების **სტადიურობის** ჩვენებით – **არ** არის **დაძიებული.**
9.2	**საძიებო** سامუშაოები – **არ** არის ჩატარებული.
9.3	**დასინჯვა** – **არ** არის **დასინჯული.**
9.4	**ლაბორატორიული** **და ტექნოლოგიური** კვლევის **შედეგები** – **არ** არის **შესწავლილი**
9.5	**ჰიგიენურ-რადიაციული** კვლევა **და** შედეგები – **არ** არის **შესწავლილი.**
9.6	**სასარგებლო** წიაღისეულის **გამოყენების** სფერო – **სამშენებლო** საქმეში (სხვა **საშენი** მასალები)
9.7	**დამატებითი** მონაცემები –
	სასარგებლო წიაღისეულის **მარაგები**
10.1	**ობიექტის** **დაძიების** ხარისხი (**სტადია**) – **არ** არის **დაძიებული.**
10.2	**წიაღითსარგებლობის** ობიექტის **ფართობი** **მარაგების** ანგარიშის **კონტურში** – 92160 $მ^2$
10.3	**მადნიანი** سხეულის **ძირითადი** **პარამეტრები** – **ფართობი** – 92160 $მ^2$, **საშუალო** سიმძლავრე – 10 მ.
10.4	**მარაგების** **გამოთვლის** მეთოდი – **საშ.** არითმეტიკული
10.5	**წიაღისეულის** **რაოდენობრივი** **მაჩვენებლები** **მარაგების** **და** **პროგნოზული** **რესურსების** **კატეგორიების** **მიხედვით** **(A+B+C_1+C_2** **და** **P)** – **სალიცენზიო** ობიექტზე **პროგნოზული** (P **კატეგორია)** **მარაგებია:** 92160 x 10 = 921600 $მ^3$
10.6	**თანმდევი** **სასარგებლო** **წიაღისეული** **და** **მისი** **კომპონენტების** **მარაგები** –
10.7	**მარაგების** **გაზრდის** **ძირითადი** **მიმართულებები** –
10.8	**დამატებითი** **მონაცემები** –
11	**წიაღითსარგებლობის** **ობიექტის** **დამუშავების** **პირობები**
11.1	**წიაღითსარგებლობის** **ობიექტის** **დამუშავების** **ჰიდროგეოლოგიური** **და** **სამთო** **ტექნიკური** **პირობები** – **დამაკმაყოფილებელია.**
11.2	**წიაღითსარგებლობის** **ობიექტის** **დამუშავების** **მეთოდი** – **ღია** (**კარიერული**) **წესი.** **ობიექტზე** **ეკოლოგიური** **წონასწორობისა** **და** **უსაფრთხოების** **დაცვას** **უზრუნველყოფს** **ლიცენზიანტი.**
11.3	**ინფორმაცია** **ობიექტის** **ტოპოგრაფიის** **შესახებ** – **გამომუშავების** **დაწყებამდე** **და** **დასრულების** **შემდგომ** **საჭიროა** **შედგეს** **ობიექტის** **ტოპოგეგმები.**
12	**წიაღითსარგებლობის** **ობიექტის** **საინჟინრო-გეოლოგიური** **პირობების** **ვიზუალური** **შეფასება**
12.1	**წიაღითსარგებლობის** **ობიექტის** **მორფოლოგია** – **სალიცენზიო** ობიექტი (**კონგლომერატი**) **მორფოლოგიურად** **მდებარეობს** **საქართველოს** **მთათაშორის** **ბარის** **ქვეზონაში,** **რომელიც** **წარმოდგენილია** **გორაკ-ბორცვიანი** **და** **ვაკე** **რელიეფით.** **კერძოდ,** **ობიექტის** **კონტური** **მოიცავს** **გორაკის** **თხემურ** **ნაწილს,** **რომელიც** **ტექნოგენურად** **სახეცვლილია** **და** **წარმოადგენს** **ძველ** **ნაკარიერულ** **ტერიტორიას.** **ასევე** **ობიექტის** **კონტურში** **მდებარეობს** **საქმიანი** **ეზო,** **სადაც** **ფიქსირდება** **ქვის** **სამტვრევი** **დანადგარები.**
12.2	**წიაღითსარგებლობის** **ობიექტის** **და** **მიმდებარე** **ტერიტორიის** **საინჟინრო-გეოლოგიური** **პირობების** **სირთულის** **კატეგორია** – **ობიექტი** **წარმოდგენილია** **სუსტად** **შეცემენტებული,** **სხვადასხვა** **ზომის** **კონგლომერატებით,** **რომლებიც** **ზოგან** **დაფარულია** **თიხნარის** **ფენით.** **საინჟინრო-გეოლოგიური** **პირობების** **სირთულის** **მიხედვით** **ობიექტის** **ტერიტორია** **მიეკუთვნება** **I** (**მარტივი**) **კატეგორიას.**

12.3	წიაღითსარგებლობის ობიექტის **და** მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია (მდინარეული ქვიშა-ხრეშის **შემთხვევაში ნაპირების** ეროზია; **კალაპოტში წარმოქმნილი** ჭარბი აკუმულაცია და სხვა) –სტაბილურია.
12.4	წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის **პროცესში** მოსალოდნელი გეოდინამი**კური** გართულებები – მოსალოდნელი არ არის.
12.5	**გეოდინამიკური** გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების **დასახვა** – ობიექტის **დამუშავების** პროცესში **მოხსნილი ფუჭი ქანი უნდა** დასაწყობდეს **ტერიტორიის** შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.
12.6	**დასკვნები და რეკომენდაციები** – 1. სალიცენზიო ობიექტი (კონგლომერატი) მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მარტყოფის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას; 3. ობიექტის დამუშავების პროცესში მოხსნილი ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომში რეკულტივაციის მიზნით; 4. ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის დამუშავების პროექტის მიხედვით; 5. ობიექტის კონტურში ფიქსირდება ელ. გადამცემი ხაზები. ობიექტი კვეთს ტყის კონტურს. ლიცენზიის გაცემამდე აღნიშნული საკითხები უნდა შეთანხმდეს შესაბამის სამსახურებთან; 6. წიაღით სარგებლობის ლიცენზიის გაცემამდე ობიექტის დამუშავების საკითხი უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან და შესაბამის უწყებასთან; 7. მითითებული რეკომენდაციების (პუნქტი 3, 4, 5 და 6) გათვალისწინებით ობიექტზე წიაღისეულის მოპოვება არ გამოიწვევს არსებული გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.
13	**გეოლოგიური** ინფორმაციის მომზადებისას **გამოყენებული ფონდური და ბეჭდვური** მასალა
13.1	**გეოლოგიური ანგარიშის** (ან **წიგნის**) **ავტორი (ავტორები)** – დ. პაპავა, ე. დევდარიანი **და სხვ.**
13.2	**ანგარიშის შედგენის** (**გამოცემის**) **ადგილი** (**გამომცემლობა**) **და წელი** – 1971 **წ.**
13.3	**ანგარიშის ფონდური** (**საბიბლიოთეკო**) **ინვენტარული № – №12980**

სასარგებლო წიაღისეულის მართვის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე — სერგო მკალავიშვილი

შემსრულებლები:
გ. ხაჭაპურიძე, ნ. ჩომახიძე, ე. ბაქანიძე, გ. მეტრეველი, ზ. ტულუში, თ. აქოფაშვილი

შეთანხმებულია,
სასარგებლო წიაღისეულის მართვის
დეპარტამენტის უფროსი — მერაბ ჩალათაშვილი



მიწისა და სამთო მინაკუთვნის საზღვრები
გარდაბნის მუნიციპალიტეტში
მარტყოფის ადმინისტრაციულ ერთეულში
სასარგებლო წიაღისეულით
სარგებლობის ობიექტისათვის
კუთხეთა წვეროების კოორდინატები

	X	Y
1	505183	4618710
2	505187	4618948
3	505149	4619067
4	505169	4619184
5	505197	4619239
6	505245	4619279
7	505296	4619242
8	505252	4619154
9	505370	4619002
10	505441	4618874
11	505467	4618819
S = 92160 კვ.მ.		
GWS 1984		

დანართი N3 - ამონაბარის და ბუნებრივი გაშიშვლების ვიზუალური ფოტო-მასალა

შურფი 1

41.723655° 45.062664°

შურფი 2

41.722305° 45.063064°



შურფი 3

41.721300° 45.065093°



შურფი 4

41.720050° 45.064662°



შურფი 5

41.720784° 45.065930°

შურფი 6

41.719378° 45.066377°

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მარშალ გელოვანის გამზ.N34
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 237 80 13
+995 32 237 80 44
info@mepa.gov.ge

04 ივნისი 2025

N 4070/01

შპს ,,მინერალი"-ს დირექტორს კახა მუხიგულს

ქ. თბილისი, ვაკის რ-ნი, ნუცუბიძის ქუჩა N127,
სადარბაზო N4, სართული N1, A ბლოკი, ფართი N9

ასლი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ბატონო კახა,

თქვენი განცხადების(28.05.2025) პასუხად, რომლითაც წარმოდგენილია შპს ,,მინერალის"-ს სასარგებლო წიაღისეულის, ლიცენზია-ბრძანება №1681, მოპოვებისას გამონამუშევარი ფართობის რეკულტივაციის კორექტირებული პროექტი, გაცნობებთ, რომ სამინისტრო თანახმაა პროექტით განსაზღვრული სარეკულტივაციო სამუშაოები განხორციელდეს შემდეგი პირობის დაცვით:

1.გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მარტყოფის ადმინისტრაციულ ერთეულში, 92160მ^2 ფართობზე, 921600მ^3 მოცულობის „ააკაძის“ კონგლომერატის (სხვა საშენი მასალა) ღია კარიერული წესით მოპოვებაზე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 30 ოქტომბრის №612/ს ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებით, საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. აღნიშნულიდან გამომდინარე და სამართალდარღვევის პრევენციის მიზნით, კომპანიამ საქმიანობა განახორციელოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

დამატებით გაცნობებთ, რომ ,,ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, რეკულტივაციის ან/და კონსერვაციის სამუშაოების დამთავრების შემდეგ საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, ამის თაობაზე ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. ობიექტების რეკულტივაცია ან კონსერვაცია დამთავრებულად ითვლება ინფორმაციის ადგილზე გადამოწმების შემდეგ უფლებამოსილი ორგანოს (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის

დეპარტამენტი) მიერ შესაბამისი აქტის შედგენით, ხოლო საქმიანობის სუბიექტი, რომელიც აწარმოებს დეგრადირებული ნიადაგის რეკულტივაციას, პროექტით განსაზღვრული პირობების სამუშაოების არახარისხიანი, ეკოლოგიური და სხვა სტანდარტების წესების და ნორმების დაუცველობისას პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პატივისცემით,

გიზო ჭელიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

მელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტი

https://edocument.ge/mea/public/#/4070-01-2-202506041426

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE